საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2010 წლის 2 აგვისტოს სხდომის
ოქმი №50

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 69 წევრიდან, ესწრებოდა 39. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. ხათუნა თოდაძე, პროფ. თალიკო ჟვანია, სტუდენტი ნიკოლოზ გაგნიძე.

წარმოდგენილ კანდიდატურებს ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს წესდების ახალი რედაქციის პროექტის განხილვის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ირაკლი ზედგენიძე. მაგრამ ბატონი ირაკლი შეუძლოდ იმყოფება და მოხსენებას გააკეთებს აკადემიური საბჭოს წევრი პროფ. ზურაბ ლომსაძე.

პროფ. ზურაბ ლომსაძე: წესდება მოიცავს ყველა დებულებას. საკანონმდებლო ცვლილებების გამო ჩვენ იძულებული ვართ შევცვალოთ წესდება. პროექტორის საშუალებით წარმოგიდგენთ წესდების ტექსტს და იმ ძირითად ცვლილებებს, რომლებიც შეტანილია ტექსტში.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი: ე.ი. ჩვენ უმაღლეს პროფესიული სწავლების სტუდენტები აღარ გვეყოლება?

პროფ. ზურაბ ლომსაძე: კანონით გვეკრძალება, მაგრამ დღევანდელ სტუდენტებს დავამთავრებინებთ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს წესდების ახალი რედაქციის პროექტის განხილვის შესახებ. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს №50 სხდომაზე სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა პროფ. ზურაბ ლომსაძემ წარმოადგინა წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების

საწესდებო კომისიის მიერ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში 2009-2010 წლებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე შემუშავებული სტუ-ს წესდების ახალი რედაქცია, რომელიც მოწონებული იქნა აკადემიური საბჭოს მიერ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №293).

წარმომადგენლობითმა საბჭომ განიხილა სტუ-ს წესდების ახალი რედაქციის წარმოდგენილი პროექტი, მოიწონა იგი და რეკომენდაცია გაუწია მის წარდგენას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დასამტკიცებლად.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს საპატიო დიპლომის დებულებაში ცვლილების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №294 – მომხსენებელი პროფ. გიორგი სალუქვაძე.

პროფ. გიორგი სალუქვაძე: აკადემიური საბჭო შემოდის წინადადებით სტუ-ს საპატიო დიპლომის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და დებულება წარმოდგენილ იქნეს შემდეგი ფორმულირებით:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დიპლომი დაწესებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თვალსაჩინო მეცნიერის, პედაგოგის, ინჟინრის, თანამშრომლის ღვაწლის დაფასების მიზნით.
2. საპატიო დიპლომი გადაეცემა იმ პირებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ნაყოფიერ სასწავლო-აღმზრდელობით, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ ან/და სამეურნეო საქმიანობაში;
3. საპატიო დიპლომით დაჯილდოებაზე წარდგენის უფლება აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტების საბჭოებს. გადაწყვეტილებას ღია კენჭისყრით იღებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
4. საპატიო დიპლომით დაჯილდოებულს შეიძლება გადაეცეს დამატებითი ფულადი ჯილდო ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

პროფ. ივანე შავთვალიშვილი: განა რამდენი დიპლომი გაიცა, რომ ასეთი შეზღუდვაა თანხაზე?

პროფ. გიორგი სალუქვაძე: ზოგიერთი ფაკულტეტი თანახმაა, რომ გაიცეს დიპლომი თანხის გარეშე, ამით მეტი ლავირების საშუალებაა, დებულება უფრო მოქნილია.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს საპატიო დიპლომის დებულებაში ცვლილების დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 37, წინააღმდეგი – 1, თავი შეიკავა – 1.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს №50 სხდომაზე სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანმა პროფ. გიორგი სალუქვაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს საპატიო დიპლომის დებულებაში ცვლილების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №294.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, მომხრე – 37, თავი შეიკავა – 1, წინააღმდეგი – 1, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №294 დადგენილება – სტუ-ს საპატიო დიპლომის დებულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "4. საპატიო დიპლომით დაჯილდოებულს შეიძლება გადაეცეს დამატებითი ფულადი ჯილდო ერთი თვის ხელფასის ოდენობით".

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს ახალი გერბის დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №251 – მომხსენებელი პროფ. ანზორ შავგულიძე.

პროფ. ანზორ შავგულიძე: წარმოგიდგენთ ახალ გერბს, მისი ავტორია ცნობილი კერამიკოსი ემირ ბურჯანაძე. გერბს მოჰყვება განმარტება (იხ. დადგენილება №251).

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს ახალი გერბის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 37, წინააღმდეგი – 1, თავი შეიკავა – 1.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს №50 სხდომაზე პროფ. ანზორ შავგულიძემ წარმოადგინა

საკითხი სტუ-ს ახალი გერბის დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №251.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, მომხრე – 37, თავი შეიკავა – 1, წინააღმდეგი – 1, დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №251 დადგენილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გერბის წარმოდგენილი ვარიანტის შესახებ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №298 – მომხსენებელი პროფ. გიორგი აბრამიშვილი.

პროფ. გიორგი აბრამიშვილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა: „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური პერსონალისათვის ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების (1 სასწავლო წლის ვადით) მიცემის და შვებულებიდან დაბრუნების ანგარიშის მოსმენის საკითხი აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა განიხილონ ფაკულტეტის საბჭოს წარდგენის საფუძველზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მოთხე საკითხი – სტუ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი სახით საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს №50 სხდომაზე სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრმა პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №298.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №298 დადგენილება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს აკადემიური პერსონალისათვის ანაზღაურებადი

სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების (1 სასწავლო წლის ვადით) მიცემის საკითხი აკადემიურმა და წარმომადგენლობითმა საბჭოებმა განიხილონ ფაკულტეტის საბჭოს წარდგენის საფუძველზე, სწავლების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული წესის თანახმად (იხ. დანართი).

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე "თეორიული ინფორმატიკის" მიმართულების შექმნისა და ამ მიმართულებაზე მოწვეული პროფესორების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №297 – მომხსენებელი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ზურაბ წვერაიძე.

პროფ. ზურაბ წვერაიძე: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე იქმნება „თეორიული ინფორმატიკის" მიმართულება 2 საშტატო ერთეულით, მოწვეული პროფესორების სტატუსით.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ეს არ გამოიწვევს საშტატო განრიგში ცვლილებას?

პროფ. ზურაბ წვერაიძე: რა თქმა უნდა, და ამიტომაც გამოვიტანეთ დასამტკიცებლად ჯერ აკადემიურ, და შემდეგ წარმომადგენლობით საბჭოზე.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე "თეორიული ინფორმატიკის" მიმართულების შექმნისა და ამ მიმართულებაზე მოწვეული პროფესორების მოწვევის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს №50 სხდომაზე სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანმა პროფ. ზურაბ წვერაიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე "თეორიული ინფორმატიკის" მიმართულების შექმნისა და ამ მიმართულებაზე მოწვეული პროფესორების 2 საშტატო ერთეულის დამატების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №297.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე

"თეორიული ინფორმატიკის" მიმართულების შექმნისა და საშტატო განრიგში სრული პროფესორის 2 საშტატო ერთეულის დამატების საკითხები.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებისას კოეფიციენტების გამოყენების საკითხის დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №299 – მომხსენებელი პროფ. იური ლომიძე.

პროფ. იური ლომიძე: პრობლემა შეიქმნა ამ სასწავლო წელს მე-4 კურსის არარსებობის გამო: ზოგიერთი ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებების აკადემიურ პერსონალს სრულად ვერ ვტვირთავთ, ამიტომ გადაწყდა:

1. აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებისას 2010-2011 წ. შესამცირებელი კოეფიციენტები მოიხსნას გარკვეულ ფაკულტეტებზე, სადაც არის პრობლემა აკადემიური პერსონალის დატვირთვის შევსებასთან დაკავშირებით.

2. 2010-2011 წ. I კურსზე პროფესიულსა და ბაკალავრიატში ფიზიკა-მათემატიკაში, თუ სალექციო ნაკადში არის 70 და მეტი სტუდენტი, სალექციო საათების რაოდენობა განისაზღვროს 1.2 კოეფიციენტით, რაც შეადგენს სალექციო საკონტაქტო დატვირთვის 120%-ს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებისას კოეფიციენტების გამოყენების საკითხის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს №50 სხდომაზე პროფ. იური ლომიძემ წარმოადგინა საკითხი აკადემიური დატვირთვის გაანგარიშებისას კოეფიციენტების გამოყენების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №299.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი №299 დადგენილება

1. *სტუ-ში "აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების და განაწილების ინსტრუქციის" 4.4.2 – 4.4.5 პუნქტებში მოცემული აკადემიური დატვირთვების შემამცირებელი კოეფიციენტები არ იქნეს გამოყენებული*

2010-2011 სასწავლო წლებში იმ სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებების მიმართ, რომელთაც აქვთ აკადემიური დატვირთვის დეფიციტი;

2. *სწავლების პირველი წლის პროფესიული უმაღლესი განათლების და ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მათემატიკის და ფიზიკის სასწავლო კურსების სალექციო ნაკადში 70 და მეტი სტუდენტის შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით, შემოღებულ იქნეს კოეფიციენტი 1,2 , რაც შეადგენს სალექციო საკონტაქტო დატვირთვის 120%-ს.*

სპიკერი: მიმდინარე საკითხებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი წარმოგვიდგენს სტუ-ს X სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №69) II სართულზე, 60 კვადრატული მეტრი ფართობის იჯარით გადაცემის საკითხს.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგენთ სტუ-ს X სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №69) II სართულზე, 60 კვადრატული მეტრი ფართობის იჯარით გადაცემის საკითხს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 2 აგვისტოს №50 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს X სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №69) II სართულზე, 60 კვადრატული მეტრის საერთო ფართობის იჯარით გაცემის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, დამტკიცდა სტუ-ს X სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №69) II სართულზე, 60 კვადრატული მეტრის საერთო ფართობის იჯარით გაცემის საკითხი.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი: შტატების განაწილების დროს ჩვენს მიმართულებას ჰქონდა 2 0,5 საშტატო ერთეული. მე მაშინვე მოვითხოვე მათი გამთლიანება 1 შტატად. გთხოვთ, მიშუამდგომლოთ აკადემიური საბჭოს წინაშე და ეს 2 0,5 საშტატო ერთეული გამიმთლიანოთ 1 შტატად.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი პროფ. ნაომ ბოჭორიშვილის წინადადებას.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, სრული პროფესორი ეკატერინე თევზაძე

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი გინა გურეშიძე